



## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26  
პარლამენტის სასახლე

### ბრძანება

N 349/3

08/12/2017

**„საქართველოს პარლამენტის აპარატის საკონკურსო კომისიის შექმნისა და მარინე ასათიანის კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 25 ივლისის №237/3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

რეორგანიზაციის შედეგად საქართველოს პარლამენტის აპარატის საკადრო საკითხთა დეპარტამენტის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტად გარდაქმნასთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“ და „ჰ“ ქვეპუნქტებისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. „საქართველოს პარლამენტის აპარატის საკონკურსო კომისიის შექმნისა და მარინე ასათიანის კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 25 ივლისის №237/3 ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პარლამენტის აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია და დახურული კონკურსების ჩატარების უზრუნველყოფისათვის შეიქმნას საქართველოს პარლამენტის აპარატის საკონკურსო კომისია და კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს საქართველოს პარლამენტის აპარატის ადამიანური

რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტის უფროსი მარინე ასათიანი.“.

2. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პარლამენტის თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

თამარ ჩუგოშვილი

